

ოზურგეთელი ხათუნა ჯინორია და თინა ვაზაყვამე მოსამართლეებად დაინიშნენ



ხათუნა ჯინორია

ხათუნა ჯინორია დაიბადა 1984 წლის 8 ნოემბერს ქ. ოზურგეთში.

2002 წელს დაამთავრა ქალაქ ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლა.

ამავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. 2008 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის მაგისტრატურა კერძო სამა-

11 იანვარს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეთა კენჭისყრის შედეგები გამოქვეყნდა. შედეგების მიხედვით გამოცხადებული 52 კანდიდატიდან თანამდებობაზე 34 მოსამართლე გააფხვდა. დაინიშნულთა შორის ოზურგეთელი ხათუნა ჯინორია და თინა ვაზაყვამე არიან. ისინი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებად დაინიშნენ.

რთლის მიმართულებით.

2008 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა კურსები. ასევე ჩააბარა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციაში.

2014 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

ფლობს ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

2006-2007 წლებში გაიარა სტაჟირება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაში;

2007-2008 წლებში მუშ-

აობდა საქართველოში ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროში უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე;

2008-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწედ;

2015 წლის 29 ივნისიდან 2016 წლის 1 დეკემბრამდე – საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწედ;

2016-2017 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

არის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი.

თინა ვაზაყვამე

დაიბადა 1984 წლის 8 სექტემბერს ქ. ოზურგეთში.

2001 წელს დაამთავრა ოზურგეთის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის №4 საშუალო სკოლა. 2001-2006 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

2005 წელს გაიარა პრაქტიკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატაში;

2006 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა მოსამართლის თანაშემწის სამთვინი კომპლექსური კურსი;

2006-2008 წლებში კონკურსის შედეგად გაიარა სტაჟირება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში; ჩააბარა ადვოკატთა საკ-

ვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალობით;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 29 თებერვლის №2 ბრძანებით დაინიშნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამართალწარმოების სამართალწარმოების თანამდებობაზე.

2010 წელს ჩააბარა პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა.

2010 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციაში.

2012 წლიდან არის „Hall Booth Smith, P.C“ იურიდიული ფირმისა და ატლანტის სა-



მართლებრივი საზოგადოების საპატიო წევრი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 11 თებერვლის ბრძანებით დაინიშნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე.

2014 წლის იანვრიდან იყო დ. მეტრეველის სამედიცინო ცენტრის ეთიკის კომისიის წევრი.

ა დ ი რ ი ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 2 (10247) 15 იანვარი, 2018 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამომცემი 1931 წლის 5 იანვარიდან

სამი ჩემპიონი, ოთხი პრიზიორი



ოზურგეთელი მოჭიდავების ტრიუმფი საქართველოს პირველობაზე

ქილიკითა და ტაშით (!) მიღებული ბიუჯეტი

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 იანვრის სხდომის დღის წესრიგში, რა თქმა უნდა, მთავარი საკითხი იყო „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების მიღება. სხვა საკითხებიც არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანი გახლდათ, თუმცა, ზოგიერთის განხილვას თუ ცნობად მიღებას „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატთა მხრიდან ქილიკი მოჰყვა.

ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემატა სამი ახალი ფრაქცია – „ქართული ოცნება-კონსერვატორები“, „ქართული ოცნება-მრეწველები“ და „ქართული ოცნება-მწვანეები“. სწორედ მესამე ფრაქციის შექმნის შესახებ ცნობად მიღება გახდა „ნაციონალურის“ საქმიანობის (ოლიგარქია ყველაფერი გადათხარა და კარგია თუ მწვანე ფერი გახსოვთო, აქვე ყოფილი გამგებელი გაყვებივრულად მოიხსენიეს). ეს ქილიკი შემდეგ მთელ სხდომას გაჰყვა და სხვა რომ არაფერი, დარბაზში მათ უკან მსხდომ დეპუტატებსა და სხდომაზე მოსულ, ამა თუ იმ საკითხით დაინტერესებულ მო-



ქალაქებს ნორმალურად მოსმენის საშუალება არ მიეცათ.

დავუბრუნდეთ ბიუჯეტს, რომლის პრიორიტეტებად, გასული წლის მთავარი საფინანსო ბიუჯეტის მსგავსად, რჩება ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია; განათლების ხელშეწყობა; კულტურა; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუ-

ჯეტის პროექტით შემოსულათასი ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლებში გადასახადებიდან განგარიშებული შემოვიდეს 6 330,0 ათასი ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი – 5 000,0 ათასი ლარი, საშემოსავლო გადასახადი – 1 350 ათასი ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახადები განგარიშებულია 2 465,0 ათას ლარზე, მათ შორის:


– დასახლებული ტერიტორიებისთვის მოსაკრებელი – 150,0 ათასი ლარი;

– შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 120,0 ათასი ლარი;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის – 575.0 ათასი ლარი;

– ჯარიმები, სანქციები საურავები – 900,0 ათასი ლარი;

– მშენებლობის ნებართვისათვის – 110,0 ათასი



ბილოცავთ კალანდას!

ბისურვებით მშობილობას, უფლის მაღლი არ მოკლავოდეს თქვენ და სრულიად საქართველოს.

მარიკა ჩიკვივილი

ოფიციალური მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე



კვირფასო ოფიციალური ბილოცავთ კალანდის მომზადებას. ბისურვებით ჯანმრთელობას, სიყვარულს, სისარულს. იმრავლეთ და იბაღნიერეთ!

ეროდი გორდეაკი

ოფიციალური მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპანდატო-საპროცედურო, მთიკის კომისიის თავმჯდომარე



მოგესალმებით და ბილოცავთ ჩიჩილაკებით შემობრკანებულ კალანდას!

ბაისარამთ და ბაგრაველით!

ბასვა დოლიძე

ოფიციალური მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მრავალეზრის“ თავმჯდომარე



კალანდას ბილოცავთ, ოფიციალური მუნიციპალიტეტის!

სისარული, სიყვარული, სიბრძნით და ბედნიერება მომტანოს. მრავალეზრის თქვენს ოჯახებს.

პაატა კვიციანი

საკრებულოს სოფ. ბაილეთის მამორიბარი დეპუტატი



კვირფასო ოფიციალური!

ბილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

ღამ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ოჯახებში და ჩვენს გულში იშვას მშობიობა, სთნობა და სიყვარული.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოფიციალური მუნიციპალიტეტის სახვითი ხელოვნების ცენტრი



მრავალ ბედნიერ კალანდას ბილოცავთ ოფიციალური!

საუკეთესო სურვილებით, ოფიციალური მუნიციპალიტეტის ფრაქცია

«ქართული ოცნება - კონსერვატორების» თავმჯდომარე

ლევან თოიძე



მოგვლის მხატვართა კალენდარი



სასიამოვნო და სასიხარულოდ რეზონანსული გამოდგა მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ქ. ოფიციალური თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის 2018 წლის

პირველივე ღონისძიება. 8 იანვარს 2017 წლის გამოფენა-კონკურსის „ზამთრის ვერნისაჟის“ გამარჯვებულებთან შეხვედრამ აჩვენა, რომ ეს არის გურიაში მხატვრობის

მომავალზე ორიენტირებული პროექტი, რომელსაც უკვე ექვსი წლის ისტორია აქვს. გამოფენა-კონკურსში ყოველწლიურად მონაწილეობენ რეგიონის (ოფიციალური, ლანჩხუთი, ჩოხატაური) სამხატვრო სკოლები, ასევე ოფიციალური მუნიციპალიტეტის საჯარო და სამრეწველო სკოლები.

სახვითი ხელოვნების ცენტრმა მოამზადა და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა 2017 წლის გამოფენა-კონკურსში გამარჯვებულ ნორჩი მხატვრების ნამუშევრებით დასურათბატებული სამაგიდო კალენდარი.

პრეზენტაციას, რომელიც სამხატვრო გალერეაში შედგა, დაესწრნენ გურიაში მოღვაწე მხატვრები, პროექტის მონაწილე მოსწავლეები, მათი მშობლები, ქომაგები და ზოგადად სახვითი ხელოვნების თაყვანისმცემლები გურიის სამივე მუნიციპალიტ-

ეტიდან. სამაგიდო კალენდრები საჩუქრად გადაეცათ როგორც გამარჯვებულებს, ისე ღონისძიების მონაწილეებს, მათ შორის ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს.

მოკლედ იმის შესახებ, თუ ვინ გამარჯვდა ნომინაციებში და ვის ნამუშევრებს ნახავთ ამ სამაგიდო კალენდარში:

- სამხატვრო სკოლებიდან**
- საუკეთესო ფერწერა – **საბა ევგენიძე** (ოფიციალური)
- საუკეთესო გრაფიკა – **ნოდარ ძნელაძე** (ჩოხატაური)
- საუკეთესო კომპოზიცია – **ნინო ლოჯარია** (ოფიციალური)
- საუკეთესო დეკორაცია – **ქრისტინე წილოსანი** (ლანჩხუთი)
- საუკეთესო თემა – **გენო ლომაძე** (ლანჩხუთი)
- საუკეთესო იდეა – **მარიამ ბოცვაძე** (ჩოხატაური)
- სამრეწველო და საჯარო**

- სკოლებიდან**
- საუკეთესო დეკორაცია – **ანა ცენტერაძე** (ქ. ოფიციალური წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სამრეწველო სკოლა)
- საუკეთესო კომპოზიცია – **მარიამ ყალიჩავა** (სოფელ მერიის საჯარო სკოლა)
- საუკეთესო ხელნაკეთობა – **ლანა ჩავლეიშვილი** (სოფელ ჯუმათის საჯარო სკოლა)
- საუკეთესო ნორჩი შემოქმედი – **ლუკა კიკვაძე** (ქ. ოფიციალური №4 საჯარო სკოლა)
- მ. ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის რჩეულები**
- ლევან დარჩია** – ქ. ოფიციალური IV საჯარო სკოლა;
- ნინო ჩხაიძე** – ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +1+4 15 იანვარი ორშაბათი	მცირე თოვლი +1+4 16 იანვარი სამშაბათი	მზა, ღრუბლი +1+5 17 იანვარი ოთხშაბათი	ღრუბლი- -1+8 18 იანვარი ხუთშაბათი	ძლიერი წვიმა -7+3 19 იანვარი პარასკევი	თოვლი +3+4 20 იანვარი შაბათი	მზა, ღრუბლი +4+9 21 იანვარი კვირა
--	---	---	---	--	--	---